იანვარი, თებერვალი, მარტი

#1

2017

სიახლეები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში-საქართველო

ჩართულობა, როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივ დონეზე

მედია-ჩვენზე

საინფორმაციო ბიულეტენი

სიახლეები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში - საქართველო

მტკიცებულებებზე დამყარებული პრაქტიკა

"ჰერა XXI"-მა ონლაინ კვლევა ჩაატარა

სოციალური ქსელის FACEBOOK-ის მეშვეობით, რათა გამოეკვლია ახალგაზრდების

ცოდნა, სურვილები და გამოცდილება სექსუალობის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით. კვლევეებმა აჩვენა, რომ საქართველოში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ სრულფასოვანი ინფორმაცია ახალგაზრდებისთვის ხელმიუწვდომელია. სწორედ ეს არის უმთავრესი მიზეზი არასრულწლოვნებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების, არასასურველი ორსულობის, ნაადრევი ქორწინების, რაც თავის მხრივ არღვევს ადამიანის ფსიქიკურ, ფიზიკურ და სოციალურ კეთილდღეობას. მათ აქვთ სურვილი მიიღონ სრულფასოვანი ინფორმაცია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ და სასურველ წყაროდ ძირითადად სკოლას და ინტერნეტს ასახელებენ.

ტრენინგი მეან-გინეკოლოგებისთვის

"ჰერა XXI"-მა მეან-გინეკოლოგებისთვის ტრენინგი ჩაატარა თემაზე: ”იმპლანონი-კანქვეშა ინპლანტი”. ექიმებმა მიიღეს ინფორმაცია სუბდერმალური პროგესტაგენული იმპლანტის შესახებ და დაეუფლნენ იმპლანონის ჩადგმის და ამოღების ტექნიკას.

საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები

ტრენინგი იმერეთის რეგიონის ოჯახის ექიმებისთვის

ასოციაცია "ჰერა XXI"-მა

იმერეთის რეგიონის ოჯახის ექიმებისთვის (ვანის, ქუთაისის, წყალტუბოს, ბაღდათის) ტრენინგი ჩაატარა თემაზე" კონსულტირება და ოჯახის დაგეგმვის მეთოდები". ტრენინგის მიზანი გახლდათ სექსუალური და რეპროდუქციული სერვისების ინტეგრაცია პირველადი ჯანდაცვის რგოლში. რათა როგორც ქალაქად ისე სოფლად მცხოვრებ ქალებსა და გოგონებს ჰქონდეთ უნივერსალური ხელმისაწვდომობა ხარისხიან მომსახურებაზე.

მედია-ჩვენზე

გადაცემა "ალტერნატიული აზრი" ყოველ შაბათს, 18:00 საათზე ტელეკომპანია აფხაზეთის ხმის ეთერით გადაიცემა

სიახლეები

შეხვედრა სოციალურ მუშაკებთან

"ჰერა XXI"-მა სოციალურ მუშაკებთან შეხვედრა გამართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც სოციალური მუშაკები და სოციალური მუშაობის სტუდენტები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე საუბარი შეეხებოდა რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებში სოციალური მუშაკების როლს. კერძოდ თუ რა სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ფაქტორები ახდენს გავლენას სექსუალობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე. როგორია სოციალური მუშკების როლი პრაქტიკასთან შეხებისას. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია, მონაწილეებმა გაუზიარეს ერთამენთს საკუთარი გამოცდილება და "ჰერა XXI"-თან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

სამუშო შეხვედრა ოჯახის ექიმებთან თბილისში

ასოციაცია "ჰერა XXI"-მა

თბილისში ოჯახის ექიმებისთვის სამუშაო შეხვედრა ჩაატარა. სამუშაო შეხვედრაზე ოჯახის ექიმებმა მიიღეს ინფორმაცია კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების შესახებ,

ასევე გაიმართა კვლევის შედეგების პრეზენტაცია, რომელიც, "ჰერა XXI"-მა 2016 წელს ჩაატარა ახალგაზრდების ცხოვრებისეულ გამოცდილების დასადგენად სექსისა და რეპროდუქციული

ჯანმრთელობის

თვალსაზრისით.

ასევე მოხდა ექიმების ინფორმირება ორგანიზაციაში არსებული უფასო სერვისების შესახებ.

სიახლეები

ჰერა XXI აგრძელებს აქტიური, მოტივირებული ახალგაზრდა მოხალისეების მიღებას

"ჰერა XXI"-ს მიზანია განავითაროს და ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეგობრული სერვისების დანერგვას, განვითარებას და ახალგაზრდა მოხალისეების ჩართვას მის საქმიანობაში, როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე. ინდივიდუალური მიდგომა თითოეული ახალგზარდის მიმართ ხელს შეუწყობს მათ პიროვნულ და პროფესიულ ზრდას. დღემდე არაერთ მოხალისეს დაეხმარა ორგანიზაცია კარიერულ წარმატებასა და წინსვლაში. როგორც მოგეხსენებათ 2015 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა კანონი მოხალისეობის შესახებ და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ დაიწყო ”მოხალისეობის განვითარების პროგრამის-საქართველოს მოხალისე” განხორციელება. პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმნეტი და სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია ეროვნულ დონეზე მოხალისეობის ინსტიტუტის გაძლიერება, მოხალისეობის გზით ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა,, ქვეყანაში საზოგადოების საკეთილდღეოდ, საკუთარი ნების საფუძველზე უანგარო შრომის იდეის პოპულარიზაცია, მოხალისეთა მიერ გაწეული შრომის წახალისება.

რეგისტრაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: HERA-YOUTH.GE

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

50-ზე მეტი წარმომადგენელი არასამთავრობო და სამთავრობო სტრუქტრებიდან და შესაბამისი საერთაშორისო სააგენტოებიდან შეიკრიბნენ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე, რომ გაეზიარებინათ გამოცდილება და პრაქტიკა აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამებში მიმდინარე ინიციატივებსა და მათ განხორციელებაში სამოქალაქო საზოგადოების როლზე. ფორუმის მიზანი იყო აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის პროგრამების მდგრადობის უზურუნველყოფა. ღონისძიებას ესწრებოდნენ წარმომადგენლები ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოდან, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი, დავით სერგეენკო და გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერი, ცოვინარ საკანიანი. გლობალური ფონდის წარმომადგენელმა წარმოადგინა პრეზენტაციის სახით აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის პროგრამების დაფინანსების ახალი მოდელი და პერსპექტივები ახალი ალოკაციის პერიოდისთვის. ასევე მოხდა ადგილობრივი და რეგიონალური ზიანის შემცირების პროგრამების პრეზენტაცია როგორიცაა: საქართველოში წამლების პოლიტიკა და აივ/შიდსთან დაკავშირებული სტიგმა/დისკრიმინაციასთან დაკავშირებული გამოწვევები და სხვა საკითხები. ”Georgian Plus Group"-მა და აივ/პოზიტიურების ჯგუფმა ”PAPA"-მ "ჰერა XXI"-ის მხარდაჭერით წარმოადგინეს ცოცხალი მაგალითები და მტკიცებულებებზე დამყარებული დოკუმენტირებული ისტორიები აივ/შიდსის და სხვა შესაბამისი სერვისების ხელმისაწვდომობის ბარიერებზე აივ-პოზიტიურებისთვის.

ჩართულობა

დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის ახალი სტრატეგია

საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანრთელობის არსებითად გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობამ გრძელვადიანი სტრატეგია (2017-2030) და 3 წლიანი (2017-2019) სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის საკითხებში მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ოჯახის დაგეგმვისა და ახალგაზრდების რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხარისხის ამაღლების საკითხებთან; შესაბამისად, წაარმოდგენილი სტრატეგია, ამ ორ სფეროსაც მოიცავს. მისი მიზანია დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის, ასევე მასთან დაკავშირებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროების გაუმჯობესებისთვის სტრატეგიული ჩარჩო და ინტერვენციების განსაზღვრა, რაშიც აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა რელევანტური ორგანიზაციების წარმომადგენლები და მათ შორის "ჰერა XXI".

იანვარი თებერვალი, მარტი

1

2017

საინფორმაციო ბიულეტენი

მომზადებულია ასოციაცია "ჰერა XXI"-ს მიერ

დაგვიმეგობრდით, სოციალური ქსელ FACEBOOK-ზე და გაიგეთ მეტი "ჰერა XXI"-ს შესახებ

ჰერა HERA XXI

ჯანმრთელობა განათლება უფლებები ალტერნატივა

HEALTH EDUCATION RIGHTS ALTERNATIVE